



საქართველოს

რესპუბლიკა

შასი 3 მან. კვირა, ივნისის 6 1920 წ.

მთავრობის მოაზრება, უკველდური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-85.

მასწავლებელთა საყურადღებოთ.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო იწვევს ზაფხულის განმავლობაში მსურველთ აგრარულ რეფორმის გატარებაზე სამუშაოთ... მსურველები მიიღებენ სარაიონო მდივნებისა, ინსტრუქტორებისა და კანტროლორების თანამდებობაზე. ჯამაგირები არა ნაკლები ოთხი ათასი მანეთისა. გარდა ამისა, მასწავლებლებს შეენახებათ თავიანთი ჯამაგირებიც. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში. აქვე უნდა გამოიგზავნოს წერილობითი განცხადებებიც და თხოვნებიც 606 4-3 15 ივნისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის გზათა დეპარტამენტი

ამით აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და ყველა კერძო პირთა საყურადღებოთ შემდეგს:

- 1) უკანასკნელმა შექმნილმა მდგომარეობამ რესპუბლიკაში გამოიწვია საბოლოო მასალათა და ნავთურობის კრიზისი. ამის გამო აუცილებლად საჭიროა, რათა არსებული რაოდენობა ნავთურობის მოხმარებულ იქნას ეკონომიურად. დასახულ მიზნის განსახორციელებლად ყველა ორთქლის ქვაბები და სხვა მათი სხვა მსგავსი მანქანები დაუყოვნებლივ უნდა გადაყვანილ იქნენ შემოთ ან ფხვნილი ქვა ნახშირის ვახურებაზე, ვინაიდან ტუბულის მსხვილი და კა-კალი ნახშირი მოხმარებულ იქნება მხოლოდ რკინის გზათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ შადაწვის მანქანები, რომელნიც უნდავით ვერ ამოძრავდებოდნენ. რათა წესიერი მუშაობა ცრტა ხნითაც არ იქნეს შეფერხებული, ზემო ჩამოთვლილი დაწესებულებანი შეშის და ფხვნილი ქვა ნახშირის დამზადებას უნდა შეუდგნენ დაუყოვნებლივ, ვინაიდან ნავთის მიცემა შეწყვეტილი იქნება ოც ივნისიდან.
2) მთელი რაოდენობა ნავთურობისა, როგორც ნავთობი, გადაგარებული ნავთი, ნავთი, წასამული ზეთი და ბანჯვანი, რომელიც ინახება სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე, სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და კერძო პირთა საწყობებში—ირიცხება დეპარტამენტთან არსებულ ნავთურობის გამაწოდებელ ბიუროში (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 70, ნავთსადენის ნაწილი). ნაჩვენები მასალა აღირიცხებიან ქალაქის თვითმართველობის, ერობის და სხვა საზოგადო ორგანიზაციათა შემწეობით.
3) ნავთობი შიდაწვის მანქანებისათვის და აგრეთვე სხვა ნავთურობა სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და პირთათვის ბიუროს მიერ გაცემულ იქნება იმ გეგმის მიხედვით, რომელიც ყოველთვიურად შედგენილ იქნება ჩამოთვლილ დაწესებულებათაგან წარმოდგენილ მასალის თანახმად.
4) სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და კერძო პირთ ნავთობი მიეცემა სახაზინო რკინის გზებისაგან ერთი თვის საყოფი ბიუროს მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით.
5) ნავთი და ბანჯვანი მიეცემა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათ და საზოგადო ორგანიზაციათ, აგრეთვე ერთი თვის საყოფი თანახმად ბიუროს მიერ შედგენილ გეგმისა. ეს მასალა პირველ რიგში გაცემულ იქნება იმ კერძო პირთა საწყობებიდან, რომელნიც ითვლებიან ბიუროსთან არსებულ აღრიცხვაში. სათანადო ორდერების გაცემა ნახსენებ მასალის მისაღებად დაავალებული აქვთ ადგილობრივ ორგანიზაციებს (ელოზა და ქალაქის თვითმართველობა).
6) რკინის გზებიდან ნავდები და ნავთურობა გაცემულ იქნება თანახმად ზემოთ მოყვანილ წესისა ლიზენზების წინასწარ გადახდის შემდეგ.
7) ფხვნილი ქვა ნახშირის შექმნა საწარმოო დაწესებულებებს შეუძლიან ტუბულის მალარობში, რისთვისაც ცნობა საჭიროების შესახებ უნდა წარუდგინონ ინსპექტორს გზათა დეპარტამენტთან ნებართვის მისაღებად.
618 2-1 გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი ბ. ჰიჭინაძე.

ლიკვიდაცია

ლუდის ქარხნის „ამა. სვილინი ლუდის დაგზავნის“-ს

ყოფილი ვიტყელის ლიკვიდაციის გამო, დღეიდან იყიდება დარჩენილი ლუდი 25 მან. ბოთლი, ქარხანაში უქურტლოთ. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 68 ტელ. 9-37.

გზათა ტენიკოსის ხარისხის მისაღებად გამოცდაები

შესდგება ტფილისის პოლიტექნიკურ სასწავლებლის შენობაში (დიდი-მთავრის ქ. № 70) ამა წლის 22 და 23 ივნისს. 1366 1-1 გამომცემელი კომისიის თავმჯდომარე ინჟ. ვ. კაკაბაძე.

ოფიციალური განცხადება

დეკრეტი

მთავრობის მოამბის „საქართველოს რესპუბლიკის“ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

- 1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან ამა დეკრეტთან დართული მთავრობის მოამბის „საქართველოს რესპუბლიკის“ შტატი და ხარჯთაღრიცხვა.
2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთაღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის

1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დღე შვიდას ორმოცდა ოთხამეტი ათას რუბლს (758,800) მანეთი.

- 3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუნდებული კრების ამა წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.
4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღეიდან მიღებისა დამფუნდებული კრების მიერ.
1920 წ. ივნისის 1. დამფუნდებული კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

მთავრობის მოამბე „საქართველოს რესპუბლიკის“-ა.

Table with 5 columns: No. of posts, Description of posts, Total amount, Amount in rubles, Amount in grivna. Includes rows for various administrative and educational positions.

1920 წ. ივნისის 1-ს. დამფუნდებული კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

დეკრეტი

საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვისა.

1. აკრძალულია გატანა საქართველოს რესპუბლიკიდან განათლების მინისტრის ნებართვით უკველგვარი საისტორიო, სა-არქეოლოგიო, სამხატვრო და საკულტურო ნივთებისა.
შენიშვნა: ამ გვარ ნივთებს შეადგენენ: 1) ყოველგვარი მიწაში და სასაფლაოებში ნაპოვნი ნივთები ლითონებისა, ძვლისა, თხილასა, მინისა და ხისა, 2) ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და სამკაული, ხატი, ჯვარი, ჭურჭელი, შესამოსელი, ქსოვილები, ნაკერ-ნაკერო ნივთები, ხელთნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნები, სიგელ-გუჯარნი, ქანდაკებანი და ჩუქურთმისანი ქვები და სხვა ჩუქურთმისანი ნივთები, 3) ყოველგვარი ძველი იარაღი, საომარი და საოჯახო, 4) ყოველგვარი ძველი სამკაული დედაკაცისა და მამაკაცისა, 5) ძველი ფულები, მედლები და ეტონები, 6) სურათები, ნახატები და სხვა მხატვრული ნაწარმოები, გარდა ფოტოგრაფიული სურათებისა და ახალ მხატვართა ნაწარმოებთა, 7) ნაბეჭდი წიგნები ქართულ და უცხო ენებზე, რომელიც დასტამებულია 1918 წ. მაისის 26-ს, 8) ძველი ტანისამოსი, 9) ძველი ცხენის-მოსართავი, რასტი, ლაგამი, უნავი, ყაჯარი ანუ ასალი, 10) ყოველგვარი ძველი საპირფარეო იარაღი, 11) ყოველგვარი ძველი ავეჯი.
2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღეიდან მიღებისა დამფუნდებული კრების მიერ. 1920 წ. მაისის 25. დამფუნდებული კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

კანონი

მკვიდრთაგან მიტოვებულ ყოფილ სახაზინო-სანადელო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა.

1. ყოფილი სახაზინო-სანადელო მიწები, რომელიც 1919 წ. იანვრის 28-ის კანონით (კანონთა და მთავრობის განკარგულებათა 1919 წ. კრებული № 2, კანონი 12) კერძო საკუთრებად გამოცხადდა, და რომელთა პატრონებიც ლტოლვილნი, ჩაირიცხონ სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში იმ შემთხვევაში, თუ ორი თვის განმავლობაში, დღეიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა, პატრონები არ დაუბრუნდებიან თავის ადგილებს. 1920 წ. მაისის 28-ს. დამფუნდებული კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.
დეკრეტი
აგრარულ რეფორმისთან დაკავშირებული დავა-საჩივრის განხილვის წესისა.
1. დავა-საჩივარი დაკავშირებული აგრარული რეფორმის განხორციელებასთან მიწის კონფისკაციის, სახელმწიფო ფონდში გადასვლის და სოფლის მცხოვრებელთა შორის განაწილების თაობაზე სასამართლო დაწესებულებებს არ ექვემდებარება და უნდა განხილულ იქნეს მხოლოდ იმ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, რომელიც აღნიშნული სათანადო საადგილ-მამულო კანონებში.
შენიშვნა: სენატის დებულების (კან. კრ. 1919 წ. № 13) მე-34 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შენიშვნა: დროებით, აგრარული რეფორმის განხორციელებამდე, მიწათ-მოქმედების მინისტრის დადგენილება, გარდაწვეტილებას, ან განკარგულებას, დაკავშირებული აგრარულ რეფორმასთან, არ ექვემდებარება სენატს. 1920 წ. მაისის 28-ს. დამფუნდებული კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.





